



სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისი

19 06 2017 წ.

ბრძანება № 2-154

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის სემესტრული გამოცდების დანიშვნისა და მათი ჩატარების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მეორე პუნქტის და საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 23-ე მუხლის „ა“ პუნქტისა და 23¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაინიშნოს სემესტრული გამოცდები სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების მიხედვით, ამ ბრძანების დანართის N1-ის შესაბამისად;
2. სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის სემესტრული გამოცდების ჩატარებისა და გასწორების მიზნით, შეიქმნას საგამოცდო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) როზა ვიალოვა – დირექტორის მოადგილე;
 - ბ) ნელი ვიალოვი – საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლების მასწავლებელი;
 - გ) თამარ კუბლაშვილი – საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლების მასწავლებელი;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლაში სემესტრული გამოცდების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით დაინიშნოს გამოცდის მეთვალყურე დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დაევალოს ამ ბრძანების მეორე პუნქტით შექმნილ საგამოცდო კომისიას სემესტრული გამოცდების ჩატარებისა და გასწორების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
5. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დირექტორი:



Handwritten signature in blue ink

/ელზა ბადაშვილი/